# სახალხო გაზეთი

№ 692 ხუთშაბათი, 6 სექტემბერი 1912 წ. № 692

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. [illegible] პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, [illegible] საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი" ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ.

სახ. გაზ. კანტორა.

## სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 ენკენისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მან.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან, 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს

1-ლ ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის I რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ წერილების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.



**ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა** აცხადებს, რომ კვირას, 9 ენკენისთვეს, დიდუბის ეკლესიაში, გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის **პროფესორის**

## ალექსანდრე სოლომონის ძის ხახანაშვილის

**სულის მოსახსენებლად.** წირვა დაიწყება დილის 9 ს. (2.1486.1)



## საზაფხულო ახალი კლუბი თეატრი.

ხუთშაბათს, 6 სექტემბერს, წარმოდგენას გამართავს გამოჩენილი ამერიკელი არტისტები **მანუს ხანჟო** და პრინცესსა **იბრაგიმა გული**; მონაწილეობს აგრეთვე მისსი **ლეანდერი**:

ზღაპარი ინდოეთზე (სამს განყოფილებაში) ლამე ტიბეტში, დასჯა ლამასი, მსხვერპლის შეწირვა კურგანზე, მოსიარულე აჩრდილები და სხვა და სხვა.

დასაწყისი სადამოს 9 საათზე.

თეატრში შესვლის ფასი: ერთი მანეთიდან ოც კაპიკამდე—კლუბში შესვლისა—სტუმრებთათვის—როგორც ყოველთვის. (2—1463—2)



## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი და ბავშვ. ავადმყ. | **ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). $11^{1}/_{2}$—12 საათ.<br>**დადვითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ივქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^{1}/_{2}$—1.<br>**ფიდლერი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგ. (ქირურგიული) | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| საშვილოსნო და ქალთა ავადმყოფ. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ხულბაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.<br>**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვ. ავადმყოფ. | **ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), $12^{1}/_{2}$—12 ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^{1}/_{2}$—1.<br>**ფიდლერი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. ავადმ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^{1}/_{2}$—11.<br>**დადვითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. ყელ. და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $2^{1}/_{2}$—3. |
| თვალის ავ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^{1}/_{2}$. |
| კან. და ვენ. ავ. | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—$1^{1}/_{2}$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები,-კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,,606'' **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.101)



შეიძლება დაკვეთა:

## ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე. ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.**

**ფოთში—იონა მეუნარგიასთან.**
**სამტრედიაში—ბ. ი. სტუруასთან.**
**სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.**
**სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.**
**ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.**
**თელავში—თამარ აბაშიძესთან.**
**ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**
**ბაქოში—ილია აგლაძესთან.**
**ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.**
**ერევანში—ელენე ვირსალაძესთან**

**ბათომში—ს. მდივანთან. კაკაბეთში—სოფიო კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან**

**ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** (3—153—3)



მიიღება ხელის მოწერა

## „მოლიპულ გზაზე" ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.

(რ ო მ ა ნ ი)

**600** გვერდამდე კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი ხელის მოწერით ღირება, მხოლოდ **ერთი მანეთი,** შემდეგ კი ფასი ერთი-ორად იქნება გადიდებული. შეიძლება დაკვეთა: ტფილისში—ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—კანტორა ,,იმერეთში'' და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში; გორში—გაზეთ ,,ქართლის'' კანტორაში და ი. კვალიაშვილის აფთიაქში, აგრეთვე კანტ. ,,იმერეთის'' ყველა პროვინციელ აგენტებთან და ქართულ წიგნების დამტარებელ ი. კერესელიძესთან. **ადრესი:** Гори, Анастасіи Хоштарія. (ამ შემთხვევაში ფულის გამოგზავნის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია). (25—456—4)



## საგურამოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის პირდაპირ, ბლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 4, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. სადამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020 375)



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავად მყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. $9^{1}/_{2}$ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბ. ა. ძოძაძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 $11^{1}/_{2}$.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა ,,606''-ით.** (წლ—1018—72).



## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება $9^{1}/_{2}$-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**მღებრიშვილი**—შინაგ., ბავშვ.—ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირაობით 4—5 ს.

**გრეიცი**—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. $11^{1}/_{2}$ ს.

**მონსე.** ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ პარასკ. 2—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა $11^{1}/_{2}$—1 ს.

**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 2—3 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—$1^{1}/_{2}$ ს.

**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

**ბესსერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.

**გურგენიძე** შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ ,,606''-ს**

**სადამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. (თ—366. 262)



## ექიმი ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—7 საათ. გოლოვინის პრ. № 12. (თ.1334.6)

## ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., სადამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

## ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე

20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში.** 3—9 საათამდე

## ექიმ ი. ე. ჯაშის კაბინეთი

შინაგანი და დედ. ავადმყ., სადოსტაქრო ავადმყ. ამბულატორიით მიიღებს **15 სექტემბრიდან** -დილ. 8—11 საათ.; სად. 5—8 ს. დიდი ვანქის ქ. № 6. წინანდელი სადეპეშო კანტორა. (25.1480.3)

## ექიმი ს. ი. გძელიშვილი

შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., სად. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—40)

## ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^{1}/_{2}$ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—906)

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. სადამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3. ს. გაბაშვილისა.

## ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე სადამოს 5 ნახ.—$6^{1}/_{2}$ საათ. კახეთის ქ., № 6



პეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლა-დამთავრებული, თავისუფალი ხელოვანი

## ე. გ. ქიქოძისა აძლევს მუსიკის (როიალი) გაკვეთილებს.

სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 11. (23.651.3)

## ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.

იღებს ავადმყოფებს ქალისა და საშვილოსნო სნეულებათა. ნაშუადღ. 1—2 ს., სადამოს 5- 6 საათამდე. კიროჩნის ქუჩა, № 9. (25.595.17)

ელექტრონისა და რენტგენის

## სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., სადამოს 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—80)

## ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. სადამ. 5—7. (25.1045.19)

## ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. სადამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე (თ—10.49—136)

დაიბეჭდა და **გასასყიდად გამოვიდა**

წ ი გ ნ ი

**„დებულებანი ამიერ კავკასიის გამიჯვნის საქმისა",**

(„Положеніе о размежеваніи закавказскаго края").

**მესამე გამოცემა შესწორებული და თვალსაჩინოდ შევსებული** ახალ განმარტებებით და 1897 წ. მაისის 26-ს გამოცემულ კანონთა დებულების ჩართობით, რომელიც გამიჯვნის ჩქარების საშუალებას ეხება. შეადგინა **კ. ე. დოლგოვმა,** ტფ. სამოსამართლო პალატის წევრმა. **ფასი 1 მ. 50 კ.** წიგნის საწყობი წიგნის ცენტრალურ სავაჭროში, ტფილისში, გოლოვინის პროსპექტი. (4.1485.1)


## ვის ვირჩევთ?

2.

დიაღ, ჩვენმა ცხოვრებამ, ქართველ ხალხის უნუგეშო მდგომარეობამ წარმოშობეს სხვაგვარი მიმართულებაც. ქართველ ხალხის ისტორიულ ცხოვრებას და თავგადასავალს რომ დააკვირდეთ, სრულიად გასაგები გახდება თქვენთვის, რომ აუცილებლივ უნდა გამოსულიყო ჩვენს ცხოვრებაში იმგვარი მიმართულება, რომელიც, დემოკრატიულ საფუძველზე დამყარებულმა, პოლიტიკურ ფორმულას გამოუნახავდა ქართულ ეროვნულ საკითხს. რომ დემოკრატიის გარეშე ჩვენს პირობებში არც ერთ მიმართულებას საძირკველი არა აქვს, ეს ცხადია იქიდან, რომ საქართველოს დაძაბუნება, სხვა პატივსადებ მიზეზთა გარდა, მის უვარგის **სოციალურ წყობილებითაც** იყო გამოწვეული და ეს წყობილება, დღესაც ცოცხალი, ძლიერ აფერხებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას. ეჭვი არ არის იმაში, რომ თუ ამისთანა პატარა ხალხი, როგორც არის ქართველი ხალხი, დემოკრატიულ საფუძველზე არ მოაწყო და მოაწესრიგა თავისი სოციალური და ეროვნული ორგანიზაციები, მისი დღეგრძელობა და მომავალი სათუო გახდება. ასე რომ ჩვენი დემოკრატიზმი ისტორიული და კულტურული საჭიროებაა, და არა წიგნებიდან ამოღებული განყენებული ფორმულა. ხოლო ამავე ისტორიამ და კულტურის მოთხოვნილებამ, როგორც ვსთქვით, დაჰბადეს საჭიროება ეროვნულ საკითხის დაყენებისა პოლიტიკურ ნიადაგზე. გავსინჯოთ საგანი გულდასმით.

მე-15 საუკუნიდან მოყოლებული საქართველო შეგნებულად თუ შეუგნებლად რუსეთისაკენ მიისწრაფებოდა. მიზეზი ის იყო, რომ რუსეთი ერთმორწმუნე, ქრისტიანი ერი იყო და თანაც ძლიერი ერი. საქართველოს კი მუდამ მაჰმადიანობა ემტერებოდა. მაჰმადიანობა მუქარა იყო ქართველებისათვის არა მარტო როგორც ქრისტიანულ სარწმუნოების განმანადგურებელი ძალა, არამედ როგორც **ქრისტიანულ კულტურის** მომსპობი ძალაც. ირანო-მუსულმანური და ვიზანტიური ნაკადულები ქართულ კულტურისა ერთი მეორის საწინააღმდეგო ელემენტებს წარმოადგენდნენ. საბოლოოდ ქართველებს ან ერთი ან მეორე უნდა აერჩიათ. ან ერთ კულტურულ ნაკადს გაჰყოლოდნენ, ან მეორეს. ამგვარი დილემა წამოუყენა ქართველობას ისტორიამ. და ქართველებმაც ქრისტიანულ კულტურისაკენ გაიწიეს. და როდესაც დაემხო ვიზანტია, რუსეთს გონების თვალს არ აშორებდნენ.

ჩვენ ვიცით, რომ ეს მისწრაფება საქართველოსი (ქრისტიანულ კულტურის შენახვის სურვილმა) მე-18 საუკუნის ცნობილ ხელშეკრულობით დამთავრდა—ხელშეკრულობით, რომელიც დღეგრძელი ვერ გამოდგა.

დღეს ბევრნი დაცინვის ღიმილით იგონებენ ამ „ეპიზოდს". გულუბრყვილო—რომანტიკოსებს უწოდებენ იმ დროინდელ ქართველებს და აშკარად ჰყოფენ იმ აზრს, რომ იურიდიული და პოლიტიკური უსამართლობა, რომელიც გამოისახა ტრაქტატის დარღვევაში და, დარღვევის შემდეგ, დენაციონალიზაციის პოლიტიკის დამკვიდრებაში ჩვენში, აუცილებლად უნდა მომხდარიყო, ასეთია თურმე ისტორიის და რეალურ ცხოვრების ლოღიკა, რომ იმარჯვებს ჯან-საღი და მაგარი, ხოლო სუსტი და უძლური მარცხდებაო. შეიძლება ქს ასე იყოს. შეიძლება ჩვენს წინაპრებს გულუბრყვილო იმედები ჰქონდათ. მართლაც სად გაგონილა პოლიტიკაში უანგარო მფარველობა და დახმარება? მაგრამ ერთი რამ არის აქ ანგარიშ გასაწევი. დიაღ, გამოუცდელი პოლიტიკოსები იყვნენ ჩვენი წინაპრები, მაგრამ ქრისტიანულ კულტურის დაცვის, შენახვის და განვითარების წყურვილი და საჭიროება თავის და თავად იმდენად ღრმა და სერიოზული, იმდენად რეალური და მომწიფებული საჭიროება იყო, რომ ამ ფაქტის აღმოფხვრა შეუძლებელი გახდა არც ტრაქტატების დარღვევით, არც დენაციონალური პოლიტიკის დამკვიდრებით. ეს ფაქტორი და სტიმული საქართველოს მისწრაფებისა—ე. ი. წყურვილი ევროპიულ კულტურის ზიარებისა და აზიასთან კავ-შირის გაწყვეტისა, იმდენად ძლიერი ფაქტორი და სტიმური იყო, რომ მას დღეს, ასი წლის შემდეგ, არამც თუ არ დაუკარგავს ძალა და სიცოცხლე, არამედ ზედ-მეტად გაცხოველებულა და გამწვავებულა. დიაღ, ქართველობა დღეხაც რუსეთისაკენ იყურება, ხოლო მის გულში აღარ ღვივის რომანტიული იმედების ნაპერწკალი, იყურება საყვედურით და გონების თვალით ანგარიშსა სთხოვს გაცრუებულ იმედების გამო. და რუსეთის საზოგადოებრივმა აზრმა უნდა იცოდეს დღეს, რა ღრმად არის შეურაცყოფილი და ნატკენი ჩვენი გული და რა მოთხოვნით გვინდა წარვდგეთ რუსეთის პარლამენტის ტრიბუნაზე.

საქართველო, ძველი კულტურის მატარებელი ხალხი, იგივე დარჩა დღესაც. მას დღესაც სწყურია თავისი კულტურის დაცვა და შენახვა, ხოლო დღეს მას ირანო-მუსულმანობა აღარ ემტერება. დღეს მის განადგურებას ჰლამობს ის ნაწილი რუსეთის საზოგადოებისა, რომელსაც არც რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესები ესმის და არც პატარა ერის გულის ნადების გაგების უნარი აქვს. ქართული კულტურა, ისტორიულად წინაპრებისაგან ნაანდერძევი, უნდა დავიცვათ რუსეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრების ფარგალში. და ჩვენს წინაშე წარმოსდგა საჭიროება ეროვნულ საკითხის შემუშავებისა დღევანდელ ისტორიულ პირობების მიხედვით.

გამოცდილებამ და თეორიულმა მეცნიერებამ ორ ტიპის საშუალება

დაჰსახა დღეს ეროვნულ საკითხის გადასაწყვეტად—კულტურული და ეროვნულ—ტერიტორიალური ავტონომიები. ჩვენ აქ ამ საგნის განხილვაში არ შევდივართ. გვინდა ვსთქვათ მხოლოდ, რომ იმ დაჩაგრულ და პოლიტიკურ თავისუფლებას მოკლებულ ერს, რომელიც არ ოცნებობს ან ერთის ან მეორე ტიპის ავტონომიის მოპოებას მაინც, არავითარი მომავალი არ აქვს. ერს ძველი კულტურის მექონეს განსაკუთრებით, უნდა ჰქონდეს იდეალი. და თუ თქვენ ამ ერს ეუბნებით—შენი იდეალი ერობაა და მუდამ სხვის ზედამხედველობის ქვეშ ყოფნააო, თქვენ ჰკლავთ სულიერად ამ ერს და სამარეს უმზადებთ მას.

ყველა ზემოდნათქვამიდან აშკარაა, რომ ქართული ეროვნული საკითხი უნდა იყოს წამოყენებული ინტეგრალურად. ირლანდიას ასის წლის წინად რომ არ დაეწყო ზრუნვა ავტონომიის შესახებ, დღესაც არ ექნებოდა მოპოებული იგი. ამბობენ, რეაქციის ხანაში შეუძლებელია ამ ხასიათის მოთხოვნებით გამოსვლა პოლიტიკურ ასპარეზზეო. ჩვენის აზრით კი, რეაქციის ხანაში შეუძლებელია მხოლოდ ამ ხასიათის კანონ-პროექტის გაყვანა—და ამ კანონ-პროექტის გაყვანის სურვილი არცა გვაქვს—ხოლო რაც შეეხება პრინციპების და სამართლიან მოთხოვნის აღიარებას, სწორედ რომ რეაქციის ხანაშია იგი საჭირო რადგან სნეულებაზე ლაპარაკი სასარგებლო და აუცილებელია დასნეულების და არა ჯანმრთელობის დროს მოხერხებული დრო არ არისო, ჯერ საერთო საქმე არ არის გამარჯვებულიო. უნდა ვსთქვათ, რომ დაჩაგრულისათვის და უფლება აყრილისათვის არას დროს არ არის მოხერხებული დრო თავის პროგრამის სათქმელად. სუსტნი პატივში არ არიან. და მათ ყოველთვის მშრალის ხმით აწყვეტინებენ—აბა, რა დროსია რომ ეჩრებით, ხომ ხედავთ რამოდენა საქმეა გასაკეთებელი. ეგეც რომ არ იყოს, აბა ეროვნული საკითხის წამოყენება მაშინ, როდესაც დემოკრატია ჯერ კიდევ არ არის გამარჯვებული, ეს ხომ მომენტის გაუგებრობაა, ეს ხომ პოლიტიკური სიბეცეა და სხვა. აჰყევით ამ მასლაათს, და თქვენ ნახავთ, რომ სამჯერ გექნებათ ტყავი გამძვრალი, დემოკრატია მაინც გამარჯვებული არ იქნება და მოხერხებული დრო თქვენთვის არასდროს არ დადგება. ქართული ეროვნული საკითხი დღესვე უნდა იყოს აღძრული რუსეთის პარლამენტის ტრიბუნაზე.

რას ნიშნავს ეს, გვკითხავენ. ნუ თუ სერიოზულად გინდათ აწინდელ ისტორიულ პირობებში აგიტაცია გასწიოთ ავტონომიის პრაქტიკულად განხორციელებისათვის? დავამშვიდებთ, არა, ამგვარი სურვილი არა გვაქვს. ჩვენ გვინდა მხოლოდ, რომ ჩვენ მიერ გაგზავნილი კაცი მორცხვობას ნუღარ იჩენს და, სკოლის საკითხია იგი, ეკლესიის თუ ერობისა, ყველგან და ყოველთვის თავის მსჯელობას ამყარებდეს ეროვნულ საკითხის ნაკუწ-ნაგლეჯებზე კი არა, არამედ სრულად, მთლიანად და ინტეგრალურად დასმულ პრინციპზე. დეცენტრალისტ ავტონომისტისათვის სახელმწიფოს ცხოვრების მოვლენანი განსაკუთრებულის შუქით არიან გაშუქებულნი. ჩვენ გვინდა, რომ გვყავდეს ამ ხასიათის დეპუტატი, რათა ამ განსაკუთრებულის შუქით აშუქებდეს და არკვევდეს როგორც ჩვენს აწეწილ-დაწეწილ საქმეებს, ისე რუსეთის ცხოვრებას.

სათათბიროს ტრიბუნა იქნება ნიადაგი ქართულ ეროვნულ საკითხის წამოყენებისა და თანდათანი ზრდისა, იგი იქნება ბარომეტრი, მაჩვენებელი ჩვენი მომზადებისა და გაწვრთნისა. და ეს დიდი საქმე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი რუსეთისათვისაც, დღესვე უნდა იყოს დაწყებული ჩვენ მიერ გაგზავნილ დეპუტატების მიერ.

შეიგნებენ თუ არა ამას ჩვენი ამომრჩევლები?

**არჩილ ჯორჯაძე.**

## ქართული პრესა

გაზეთი „დილა", რომელსაც არასოდეს არ მოჰკლებია ენერგია ჩვენი მიმართულების ხალხთა წინააღმდეგ ჭორების გასავრცელებლად, ეხლაც ბ-ნ კიტა აბაშიძის წინააღმდეგ აი რასა სწერს:

„... გაიხსენეთ თუნდაც მისი სიტყვა საგუბერნიო მარშლის არჩევნებზე გასულ წელს, სადაც იგი ადმინისტრაციისთვის ყურ-მოჭრილ მორჩილებას ჰქადაგებდა".

ცოტად თუ ბევრად პირ-უთვნელი ადამიანი ადვილად მიჰხვდება, რომ ეს მხოლოდ დემაგოგიურის მოსაზრებით მოგონილი ჭორია, და სხვა არაფერი. ბ-ნ კიტა აბაშიძეს, როგორც პირუთვნელ და უანგარო საზოგადო მოღვაწეს, როგორც ენერგიულს დამცველს თავის პრინციპებისას, ყველა ძალიან კარგად იცნობს. იქნება სწორედ იმიტომაც ჰყავთ თვალში ამოღებული „დილი"-ს პუბლიცისტებს! რამდენი ჭორიც უნდა შესთხზან, ბ-ნ კიტა აბაშიძის სახელს ამით არაფერი მოაკლდება. მაგრამ „დილი"-ს პუბლიცისტებს კი უსათუოდ უნდა შერცხვეთ, თუ გაიხსენებენ, რომ მათ მიერვე ნახსენებ სამარშლო არჩევნების დროს „დილი"-ს მომხრენი ცნობილ დავით ნიჟარაძის ლაქიებად გადაიქცნენ. იმ დროს, როდესაც პროგრესიული ნაწილი საზოგადოებისა კონსერვატიულ ნაწილს ებრძოდა, „დილი"-ს პუბლიცისტებმა გასაოცარი სულმოკლეობა გამოიჩინეს და ფართოდ გაუხსნეს თავიანთ რედაქციის კარები რეაქციონერეს ელემენტებს. დავ. ნიჟარაძის დამქაშებს ნეტავი რაღა ეთქმით?

* *

გაზეთი „კოლხიდა" თავის 138 ნომრის მეთაურში ახასიათებს ვლ. მიქელაძეს, რომელსაც ქართველ საზოგადოებისთვის სრულიად მოულოდნელად გაჰღვიძებია დეპუტატობის მადა.

„ევროპაში თუ ვისმე დეპუტატობა ჰსურს,—სწერს „კოლხიდა", —წინდაწინვე აცხადებს თავის პოლიტიკურ „მრწამს", და თავისი მიმართულება რომ საქვეყნოდ არ აღიაროს, მისი კანდიდატურის ხსენება ფიქრადაც არავის მოუვა. ჩვენში კი ყველაფერში უცნაური ჩვეულებაა გამეფებული. კაცი მოგვიწოდებს ამირჩიეთო, მაგრამ მისი პოლიტიკური მიმართულების ამბავი მხოლოდ ჭორად გვესმის. რას მივაწეროთ ეს სიჩუმე? ვფიქრობთ, რომ თავ. ვლადიმერ მიქელაძეს არავითარი პოლიტიკური მიმართულება არა აქვს."

მართალია „კოლხიდა" კატეგორიულად აცხადებს, ვლ. მიქელაძეს არავითარი პოლიტიკური მიმართულება არა აქვსო, მაგრამ მაინცა სცდილობს პროგრამის ნიშან-წყალი მაინც აღმოაჩინოს. აღმოაჩინა კიდეც, მაგრამ ვაი ამ აღმოჩენას! ვლ. მიქელაძესთვის სჯობდა ისევ თავის ქერქში მჯდარიყო და დეპუტატობა არ მოესურვებინა.

აი, როგორ ახასიათებს გაზეთი „კოლხიდა" თავ. ვლ. მიქელაძეს:

„... (იგი) სათათბიროს საკანონმდებლო ინიციატივას არ აღიარებს და ფიქრობს, რომ დეპუტატმა მხოლოდ მხარი უნდა დაუჭიროს ბიუროკრატიის მიერ წარდგენილ კანონპროექტებსო, ე. ი. დეპუტატი ბიუროკრატიასთან შეთანხმებით უნდა მოქმედობდესო. ამ მხრით ის ნამდვილი მჭმარჯვენე ოქტომბრისტია...

თავ. ვლადიმერ მიქელაძე გვპირდება აგრეთვე ერობისა და ნაფიცთა სამსჯავროს პროექტების დაცვას. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს პროექტები, მისი აზრით, დეპუტატის ინიციატივის ნაყოფი კი არ უნდა იყოს, არამედ ბიუროკრატიის მიერ უნდა იყოს შემუშავებული, მაშასადამე რეაქციონური იქნება; მეორე, საქართველოს დეპუტატმა რომ თავისი საკანონმდებლო პოლიტიკა ასე შეზღუდოს, შეავიწროვოს და შემოფარგლოს,—ამგვარი ტაქტიკა ჩვენი ერის პოლიტიკური სიკვდილის მომასწავებელი ნიშანი იქნება".

თავის წერილს „კოლხიდა" ამნაირის მოწოდებით ათავებს:

„დასასრულ მოვუწოდებთ ქართველ ამომრჩევლებს აასრულონ თავისი მოქალაქობრივი მოვალეობა და მისცენ ხმა იმას, ვისაც დროშაზე ჩვენი ეროვნულ-პოლიტიკური უფლება უწერია, ჩვენი ერის ჭირი-ჭირად უჩანს და მისი პოლიტიკური განახლება სწამს და იმედი არ დაუკარგავს."

## ახალი ამბავი

### ტფილისი

**წირვა და პანშვიდი ალ. ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად.** კვირას, 9 სექტემბერ, პროფესორ, ალექსანდრე სოლომონის ძის ხახანაშვილის გარდაცვალების მეორმოცე დღეს, დიდუბის ეკლესიაში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის თაოსნობით გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მოღვაწის სულის მოსახსენებლად.

**ილიას ძეგლი.** ამ ჟამად დიდის ილიას ძეგლის ჩარჩო კიდევ არ არის დასრულებული. ინჟენერს პეტრე მამრაძეს იმედი აქვს, ჩარჩო სრულიად დაასრულოს ათ ოქტომბრისთვის. თუ მართლა ამ დროსთვის დასრულდა მუშაობა, მაშინ ძეგლის კურთხევა ოქტომბერშივეა განზრახული.

გუშინ **ნამესტნიკის მეუღლის გრაფინია ელისაბედ ანდრიას ასულ ვორონცოვ-დაშკოვის სახელწოდების დღეს**, ნამესტნიკის სასახლის ეკლესიაში გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი, რომლის შემდეგაც გრაფინიას მიულოცა სხვა და სხვა პირმა.

**არხიმანდრიტი ნაზარი**, საქართველოს ეპარქიის მონასტრების ბლაღოჩინი, ამ დღეებში ქვაბთახევის მონასტრის დასათვალიერებლად მიემგზავრება.

**სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გარშემო.** სათათბიროს დეპუტატთა ამომრჩევლების არჩევნები დანიშნულია: რუსთა კურიისა —26 სექტემბერს, მუშათა კურიისა— 30 სექტემბერს და საერთოსი—5 ოქტომბერს.

—პირველ საარჩევნო განყოფილებაში არჩევნების დროს თავმჯდომარედ იქნება ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი. დანარჩენ ორს განყოფილებაში თავმჯდომარეები ჯერ არ არიან დანიშნული.

**პ. ა. სტოლიპინის მოკვლის** წლის თავის შესრულების გამო დღეს, საღამოს 8 საათზე, რუსულ კლუბში გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულ პრემიერ-მინისტრის სულის მოსახსენებლად.

**სახალხო სახლი ვერაზე.** სახალხო გასართობთა საზოგადოება ვერაზე სახალხო სახლის აშენებას აპირობს. შენობის პროექტი უკვე შედგენილია.

**თავის მოკვლის განზრახვით** 4 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, თუმანიანცის სამქთო სახლში (ელიაროვის ქ., № 5. სიმთვრალის დროს საწამლავი დალია მეძავმა ქალმა ტატიანა იურის ასულმა ოსიპოვმა, 22 წლისამ. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

**საცდელი სროლა.** გუშინ ქალაქის გარედ, ქვემო-ავჭალისა და სოფელ ოლღაშენის მახლობლად, საცდელი სროლა ჰქონდათ ტფილისის ჯარებს.

**ცეცხლის მქრობელი თავისუფალი რაზმი** ტფილისში მოკლე ხანში მოქმედებას დაიწყებს. რაზმის სასარგებლოდ ამ ჟამად რუსეთის პირველმა დამხმარე საზოგადოებამ ერთდროულად 200 მან. გადასდო.

**კავკასიის ნამესტნიკმა ტფილისში ცხოვრების ნება დართო** ტფილისის საოპერო დასში მომავალ სათეატრო სეზონისთვის მოწვეულ ებრაელ არტისტებს ნება დართო აგრეთვე ლეიპციგიდან ჩამოსულს, პიანინოს დამკვრელს, რაისა ზერშტეინს, რომელიც ტფილისში კონცერტების გამართვას აპირობს.

**მებამბეთა კრებაში** მონაწილეობის მისაღებად სენატორმა ვატაციმ მიიწვია ქალაქის მოურავები ტფილისისა ა. ი. ხატისოვი და ბათომისა-თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი.

**კახეთის რკინის გზა.** ტფილისში ჩამოვიდა ინჟენერი ქიქოძე, რომელიც მთავრობამ კახეთის რკინის გზის ინსპექტორად დანიშნა.

**სასანიტარო დათვალიერება.** ამ დღეებში ქალაქის სავაჭრო-საპოლიციო მეთვალყურემ ნ. მარქაროვმა და მისმა თანაშემწემ ტერ-ნიკოლსოვმა მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე უბნებში სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი დაათვალიერეს და ბევრგან სასანიტარო წესების დარღვევა აღმოაჩინეს. ოქმი შეუდგინეს და სამართალში აძლევენ „პარადიზ"-ის ბაღის პატრონს მიხეილ ბაჩაშვილს, რომელსაც საყინულეში დამპალი ხორცი უპოვეს.

ვერის სახალხო აუდიტორიის შენობის ასაგებ თანხის გასაძლიერებლად ამ შაბათსა და კვირას ფიქრის გორაზე გაიმართება დიდი სეირნობა 1812 წ. ომის აღსანიშნავად. შესვლა უფასოა. მსურველთათვის მოაწყობენ სათამაშოებს: პტიშკოს, კოშკს, კემლსა, ბირშალს, ბილიარდს, წისქვილს და სხვ. სათამაშოებიდან შემოსული ფული ვერის სახალხო აუდიტორიის ასაგებად გადაიდება.

4 სექტემბერს ტფილისში შეიპყრეს 94 უპასპორტო.

სამსახურიდან დაითხოვეს ბოქაულები: ბაზ-ლეთისა—ოზიევი და გომისა—ყიფიანი.

### საზოგადოებანი და კრებები

**საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების** კრება 20 სექტემბერს მოხდება. კრება მოისმენს მოხსენებებს ი. ი. აბულაძისა, ს. რ. გორგაძისა და მღვდ. კორნელ კეკელაძისას, რომელნიც საზოგადოების გამგეობის დავალებით ქუთაისის გუბერნიაში იყვნენ საისტორიო და საეთნოგრაფიო ნაშთების შესასწავლად.

**ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** გამგეობის მორიგი კრება დღეისთვის არის დანიშნული.

**ქალაქის საბჭოს სატეხნიკო კომისიის** კრება დღეს მოხდება.

### სასწავლებლებში.

ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიასთან არსებულ სამრევლო სკოლაში, რომელიც ხუთის წლის განმავლობაში დაკეტილი იყო, 4 სექტემბერს გადახდილ იქმნა პარაკლისი და სწავლა დაიწყო. სკოლის მასწავლებლად მიწვეულია ელენე შოშიაშვილისა.

ავლაბრის საქალებო პროგიმნაზიის კურთხევა 9 სექტემბერს მოხდება.

ვაეთა მეოთხე გიმნაზიაში (ნემეცების ქუჩა, სახლი კაზაკოვისა) დღეს გადახდილ იქნება პარაკლისი და შემდეგ სწავლა დაიწყება.

### სასამართლო

**ქრ. ხაჩატუროვის საჩივარი.** 4 სექტემბერს ტფ. ოლქის სასამართლოში გაირჩა საქმე „ზაკავკაზიე"-ს რედაქტორად ნამყოფ თავ. გ. ი. ამირეჯიბისა, თავ. მ. ნ. ჯამბაკურ-ორბელიანისა, თავ. არჩილ მაყაშვილისა, ნაფიც ვექილის ლევ. წერეთელისა, მ. ლომჯანიძისა და სტუდენტ ნ. ყანჩაველისა. მათ „ტიფლისკი ლისტოკ"-ის რედაქტორი უჩიოდა, „იუჟანე"-ს ბაღში მცემესო. სასამართლოში ბრალდებულთაგან მხოლოდ მ. ლომჯანიძე გამოცხადდა. არ გამოცხადდა აგრეთვე 15 მოწმე, რის გამოც სასამართლომ საქმის გარჩევა გადასდო და დაადგინა: 1) ბრალდებულებს მოსთხოვოს სათავდებო ფულად, თითოს 500 მან. და 2) მოწმეებს, რომლებიც არ გამოცხადდნენ 15 მან. დააჯარიმოს.

**ტფ. ოლქის სასამართლო** სესია სექტემბერის [illegible] ახალქალაქს გაემგზავრა.

### სოფლად

**ს. იყალთოს** (კახეთი) მცხოვრებელს თავად დიმიტრი ივ. მაყაშვილს განზრახვა აქვს გამოიწეროს ინგლისიდან „გელფერიხ სადეს" სისტემის სალეწი მანქანა, რომელიც ხელსაყრელია და შესაფერისია ჩვენი გლეხკაცებისათვის სალეწად. ამ სისტემის მანქანა ღირს 6000 მანეთი, ჰლეწავს ისევე, როგორც კალოზე ნალეწი. ასეთივე სალეწი მანქანა გამოწერილი აქვთ სოფ. ალვნის ამხანაგობას, რიცხვით 20 კაცს. სიმპატიური განზრახვაა თავად დიმიტრი ივ. მაყაშვილისა. შესდგომია ამხანაგობის შედგენას, სურვილი განუცხადებიათ ამხანაგობაში ჩაწერვისა ათ კაცს. კარგი იქნებოდა გამოღმა მხრის მემამულენი ჩაეწერნენ. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ იყალთოში თვით მაყაშვილს. საამხანაგო პაი სამგვარია; 50 მ. 100 მან. 200 მ. ხსენებულ მანქანის გამოწერისთვის ზემოხსენებული ღირებულება სამის წლის განმავლობაში უნდა გადაიხადოს ამხანაგობამ. „გელფერის სადეს" სისტემის სალეწი მანქანა დღეში 1500 ფუთს ხორბლის ხვავს აყენებს. იმედია შეძლებული გლეხები არ დაიზარებენ და ჩაეწერებიან ამ სიმპატიურ ამხანაგობაში.

## არჩევნების გარშემო

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ჯერ „რუსკ. სლოვო"-ში და მერე ადგილობრივ გაზეთებშიაც იყო დაბეჭდილი ცნობა—ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა დეპუტატად ასახელებს გ. დ. ჟურულსაო. ამის გამო „ზაკ. რეჩ"-ში ვკითხულობთ. „ჩვენ დაგვავალეს გამოვაცხადოთ, რომ გ. დ. ჟურული უარს ამბობს კანდიდატობაზე. აქამდის ეს ხმები იმიტომ ვერ უარჰყო, რომ ტფილისში არ იყო".

## ქუთაისის ამ-ბარბი

„სრულიად რუსეთის ცენტრალური ბანკის დირექტორი თ-დი ვლადიმერ მიქელაძე" აღარა ხუმრობს, მისმა სახელმა თავი მოუყარა უპარტიო პროგრესისტთა ჯგუფს, რომელშიაც მონაწილეობას თურმე იღებენ „ყველა მოწინავე ელემენტები". მართლა სახუმარო საქმე ხომ არ არის „ყველა მოწინავე ელემენტები". ქუთაისში ყველამ იცის ვინ არიან ეს „მოწინავე" ელემენტები, მაგრამ თ-დ მიქელაძეს კარგად აქვს შესწავლილი ეფექტები და ისიც ამაზე ნაკლებად არ იცის, რომ ეს ტელეგრამა სატახტო ქალაქების გაზეთებში დაიბეჭდება, წაიკითხავენ ისინიც, ვინც მისი კანდიდატურით არიან დაინტერესებულნი და განსაკუთრებით „სრულიად რუსეთის ბანკის" გამგენი. ჯერ ერთი „ყველა მოწინავე ელემენტები" ბ-ნი ვლადიმერის სახელს ამ პირთა თვალში ფასს მიუმატებს და ამას გარდა, თუ ღმერთი გაწყრა და თ-დ მიქელაძეს არ ერგო დეპუტატის სავარძელი, ის მაინც დარჩება სათქმელად, რომ მას „ყვე-

## ხარკოვის წერა-კითხვის საზოგადოება*

1909 წელს 24 მარტს ხარკოვის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ იდღესასწაულა თვისი არსებობის ორმოცი წლის თავი. ამ დღესასწაულის დროს დაწვრილებით იყო აღწერილი საზოგადოების ორმოცი წლის მეტად ნაყოფიერი მუშაობა. მადლობელი ხალხი გულწრფელად ეგებებოდა ამ დღესასწაულს; განსაკუთრებით მცხოვრებთა ის ნაწილი, რომელიც ნივთიერ ხელმოკლეობას განიცდის და რომლის წრიდან არა ერთი და ორი გაუნათლებია ხსენებულ საზოგადოებას. ვგონებ, უსაფუძვლო არ უნდა იქნეს, თუ ქართველ მკითხველს ამ საზოგადოების ისტორიასა და მოღვაწეობას მოკლედ გავაცნობთ, მით უმეტეს ჩვენცა გვაქვს წერა-კითხვის საზოგადოება და, თუ არ ვცდებით, ყველა ქართველისათვის სასარგებლო და საყურადღებო უნდა იყოს მის (წერა-კითხვის გამავრცელებელ) მსგავს დაწესებულებათა გაცნობა. შესაძლებელია ამ გაცნობამ მეტი სიყვარული, მეტი შრომის უნარი გამოიწვიოს ქართველის გულში იმ დაწესებულებისადმი, რომელიც შეძლებისა და გვარად ემსახურება ქართველ ერს. და ჩვენც ამ იმედით ვიწყებთ ამ წერილის გამოქვეყნებას. დავიწყოთ ხარკოვის წერა-კითხვის საზოგადოების ისტორიიდან.

**ისტორია საზოგადოების დაარსებისა და პირველი წესდება.**

მესამოცე წლებში რუსეთის ინტელიგენციის საუკეთესო ძალებმა განიზრახეს განათლების შეტანა გლეხების წრეში. მათ დაიწყეს საკვირაო სკოლების დაარსება და ალაგ-ალაგ წერა-კითხვის საზოგადოებანიც დაარსეს. პირველი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დაარსდა მოსკოვში 1845 წელს. ამ ხანებში მეტად ძნელი იყო საზოგადოებისათვის მუშაობა, რადგან მთავრობა ეჭვის თვალით უყურებდა ყოველივე საზოგადოებრივ ინიციატივას. 1861 წელს პეტერბურგის ეკონომიურ საზოგადოებასთან დაარსებულ იქმნა ასეთივე საზოგადოება, რომელსაც აზრად ჰქონდა განათლების შუქი შეეტანა ახლად განთავისუფლებულ გლეხებში. ორივე საზოგადოებამ დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ხალხის თვალში, მაგრამ მეოთხმოცდა ათ წლებში ორივე აკრძალულ იქმნენ ადმინისტრაციის მიერ.

ამგვარად რუსეთში დღეს არსებულ წერა-კითხვის საზოგადოებათა შორის უძველესი ხნიერი ისევ ხარკოვის საზოგადოებაა, რომლის წესდება მთავრობის მიერ დამტკიცებულ იქმნა 1869 წელს. მრავალი ეკლიანი გზა შეხვედრია თვის არსებობის განმავლობაში ხარკოვის წერა-კითხვის საზოგადოებას, მრავალი ძნელი დაბრკოლება გადალობებია მას წინ, მაგრამ არასოდეს არ უღალატნია თვისი მოწოდებისათვის და უდიდესი ამაგი დაუთესია მთელი ხარკოვის გუბერნიის მცხოვრებელთა წინაშე.

მკითხველმა შეიძლება იცოდეს, რომ მთელს რუსეთში საკვირაო სკოლები 1862 წლის 2 ივლისის უმაღლესის ბრძანებით აკრძალულ იქმნა და მაშასადამე ხალხში ცოდნისა და განათლების შეტანის საშუალება მოესპოთ მათ, ვისაც ღრმად აღებეჭდათ გულზე ხალხის სამსახური, მაგრამ სამაგიეროდ წერა-კითხვის საზოგადოებათ გადალახეს ყოველივე დაბრკოლება; მთელი ძალი და ღონე მიმართეს თვისი მიზნის განსახორციელებლად და თუმცა ორი ხსენებული საზოგადოება მოსკოვისა და პეტერბურგის აკრძალულ იქმნენ, მათი ადგილი სხვებმა დაიჭირეს.

ხარკოვის საზოგადოების დაარსების სულის ჩამდგმელნი არიან ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორები: **ე. ს. გორდეენკო, დ. ი. კაჩენოვსკი, ა. ა. პოტებნი, ა. ნ. სტოიანოვი** და **ნ. ნ. ბეკეტოვი.**

როგორც საზოგადოების პირველ წესდებიდან სჩანს, საზოგადოების უპირველეს მიზანს ხალხში წერა-კითხვის და მეურნეობისათვის საჭირო ცნობების გავრცელება შეადგენს (მუხ.—1) ამ მიზნისათვის საზოგადოება ვალად იდებს: დაეხმაროს ნივთიერად არსებულ სახალხო სკოლებს, დაარსოს ახალი სკოლები, გაავრცელოს ხალხში სასარგებლო წიგნაკები და საერთოდ იხმაროს ყველა კანონიერი საშუალება საზოგადოების უმთავრესი მიზნის კეთილად განხორციელებისათვის. (მუხ.—2). საზოგადოებას ჰყავს საპატიო და ნამდვილი წევრები: საპატიო წევრთ ირჩევს საზოგადოების საერთო კრება; ნამდვილნი წევრნი იხდიან საზოგადოების სასარგებლოდ ყოველწლივ ექვს მანეთს ან ერთდროულად 60 მანეთს (მუხ. —6, 7). საზოგადოების ყველა საქმეებს განაგებს გამგეობა, რომელსაც ირჩევს საერთო კრება (11). საზოგადოების ქონებას შეადგენს: საწევრო გადასახადი, შემოწირულებანი და საჯარო ლექციათა, წარმოდგენათა და სხვ. შემოსავალი (28). იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება აკრძალულ იქმნება, მისი ქონება გადადის ერობის განკარგულებაში სახალხო-სამოხწავლო თანხის შესადგენად (32). ჩვენ სავსებით არ მოვიყვანეთ ყველა მუხლი პირველი წესდებისა, რადგან ეს მაინც და მაინც საჭიროდ არ მიგვაჩნია; ვამბობ, პირველი წესდებისას, რადგან როგორც ქვევით დავინახავთ, 1911 წელს ადმინისტრაციის წინადადებით ახალი წესდება იქმნა შემუშავებული.

ხარკოვის წერა-კითხვის საზოგადოებას დაარსებიდანვე სრული თანაგრძნობით ეკიდებოდნენ: პირველსავე წელს ცნობილმა პიანისტმა და კომპოზიტორმა ანტონ რუბინშტეინმა საზოგადოების სასარგებლოდ კონცერტი გამართა, რომლის წმინდა შემოსავალი 1000 მანეთს აღემატებოდა. ამ საზოგადოების სასარგებლოდ კონცერტი გაუმართავს აგრეთვე ვ. ი. შალიაპინს, ხოლო მსწავლულ კირპიჩნიკოვს, ოვსიანიკოვო-კულიკოვსკის, დანილევსკის და სხვებს ლექციები წაუკითხავთ, რომელთა შემოსავალი საზოგადოებისათვის გადაუციათ. საზოგადოებას ჰყოლია თვისი მეცენატებიც, რომელთ შორის აღსანიშნავნი არიან კარპოვი, რომელსაც სკოლისათვის ადგილი შეუწირავს, 10000 მანეთი ხელუხლებელ თანხად შეუტანია, რომლის პროცენტებით პირველი სკოლა უნდა შენახულიყო და გარდაცვალების წინ უანდერძებია 187000 მანეთი; პოლკოვნიკი ბოროდაევსკი, რომელსაც საზოგადოებისათვის 100,000 მანეთად ღირებული ქონება დაუტოვებია; აღსანიშნავია აგრეთვე, რომ წერა-კითხვის უცოდინარ შმატკოვს საზოგადოებისათვის 7,000 მანეთი გადაუცია. საზოგადოდ ბევრს აღმოუჩენია ამ საზოგადოებისათვის ნივთიერი დახმარება, რომელთა ჩამოთვლაც ძლიერ შორს წაგვიყვანდა. საზოგადოებას თვალსაჩინო დახმარებას უწევენ ქალაქის საბჭო და ერობა; მაგრამ ყველაზე მეტი დახმარება თვით წევრებს შეუქმნიათ, რომელთაც შრომა და ჯაფა არ დაუშურნიათ თვისი საყვარელ საქმისათვის და ამ მხრივ სწორედ წასაბაძნი არიან: ხშირად სულ არარობისაგან ისეთი დიდებული საქმე გაუკეთებიათ, რომ კაცი გაოცებაში მოდიხარ, *) საერთოდ მთელი ქონება საზოგადოებისა ნახევარ მილიონს აღემატება.

**საზოგადოების სკოლანი:**

პირველ წელს საზოგადოებას დაუარსებია ყოველ დღიური სკოლა

* ვსარგებლობ ხსენებულ საზოგადოების 1910 წლის ანგარიშით და „ისტორიული მიმოხილვით 1869—1909 წ".

*) სულ 62 მანეთი ჰქონდა კომისიას, როდესაც სახალხო სახლის აშენებას შეუდგა, მაგრამ თვისი მეცადინეობით იმდენი თანხა მოაგროვა, რომ ისეთი ძვირფასი შენობა ააგო, რომელიც 200,000 მანეთი ღირს.

ლო" მოწინავე ელემენტები" უჭერდნენ მხარსაო.

ვნახოთ ვინ არიან ეს „მოწინავე ელემენტები“. კრებას, რამდენადაც ჩვენ ვიცით, დასწრებია ოციამდე კაცი; ქუთაისი საკმაოდ მდიდარი ქალაქია ინტელიგენციით და ვის დააჯერებს „ზაკ. რეჩში“ დაბეჭდილი დეპეშა, რომ ეს ოცი თუ ამაზე ნაკლები კაცი სულ მოწინავე ელემენტებია და კრების გარეშე მყოფნი „ჩამორჩენილი ელემენტებია“. ბ-ნი დავით ლორთქიფანიძე პატივსაცემი მოღვაწეა, მაგრამ ისიც ვიცით, რომ მეორე ჯგუფის კანდიდატის—კიტა აბაშიძის წყალობით იგი ქუთაისის ხმოსნად არ აირჩიეს. ადვილი გასაგებია, მაშასადამე, თუ ბ-ნი ლორთქიფანიძე თ-დ აბაშიძის წინააღმდეგ აგიტაციას გასწევს და მანვე იტვირთა თ-დ ვლადიმერ მიქელაძის სასარგებლოდ აგიტაციის გაწევა.

არც ის არის დავიწყებული, რომ ბ-ნი დავით ლორთქიფანიძე ერთ დროს მცირე ჯგუფთან ერთად რუსეთის კადეტებს მიემხრო, ვიდრე რეაქციის სუსხი დაჰბერავდა და მერე კადეტების ორგანიზაციაც დაინგრა და ამასთან თვით კადეტების ტრანსფორმაციაც მოხდა—კადეტებმა ოქტომბრისტების ფიზიონომია მიიღეს.

ჰა, ეს ნაკადეტარნი და დღევანდელი ოქტომბრისტები მონათლა თ-დმა ვლადიმერ მიქელაძემ „მოწინავე ელემენტებად“. ნება მისი იყოს, მაგრამ ვარწმუნებთ თ-დ ვლადიმერს, რომ ამ საშუალებით ვერავის ვერ აუხვევს თვალს, გარდა პეტერბურგელებისა, მაგრამ ამით ხომ ვერ დაკმაყოფილდება?!

—

ყოფილ კადეტების და ეხლანდელ ოქტომბრისტების საარჩევნო ასპარეზზე გამოსვლა ახალი ამბავი არ არის. სამივე საარჩევნო კომპანიაში მიიღეს მონაწილეობა და არც ერთმა ოდნავ მაინც არა გაახარა მათი გული. წინააღმდეგ პირველი არჩევნების კომპანიაში მეტი ფხა გამოიჩინეს და მეორესა და მესამეში სულ უკან წავიდნენ. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ქ. ქუთაისში მესამე სათათბიროს არჩევნებში მათგან მიღებული ხმების რაოდენობამ ერთი ორად იკლო, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ბ-ნი დავით ლორთქიფანიძე ქალაქის თავი იყო და გავლენა დღევანდელზე მეტი ჰქონდა.

არ მახსოვს კარგად რომელ არჩევნებში, შორაპნის მაზრაში მოინდომეს კადეტებმა თავის კანდიდატების წამოყენება და თუმცა ბ-ნი კალისტრატე ჩიკვაიძე გამბედავი კაცია და ერთ დროს როგორც უნდოდა ისე ატრიალებდა შორაპნის მაზრას, მაინც ვერ გაბედა თავისი ყუთის დადგმა მემამულეთა კურიაში და იმაზე უფრო გამბედავი და სახელოვანი კაცი გაამწვეს.

ერთად ერთი მაზრა, საცა მათი მომხრენი აირჩიეს—ქუთაისის მაზრა იყო პირველს არჩევნებში და თუ არა ვცდები მესამეში, მაგრამ ეს თ-დ დავით ნიჟარაძის მაშინდელ გავლენას უნდა მიეწეროს ვიდრე კადეტების პოპულიარობას.

ეხლა, როგორც გვესმის, თ-დი დავით ნიჟარაძე მხურვალე მონაწილეობას არ იღებს არჩევანში და ამ მხრივაც ეცარებათ ხელი. მაშ, რისი იმედი აქვთ—ნუ თუ ეფექტიანი დეპეშებისა?!

**კეს.**

## დეპეშა.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

**ქუთაისი.** როგორც მკითხველებს ეხსომებათ წიგნ „ანარქიზმის“ დამწერი ნოე ჟორდანია და გამომცემელი ისიდორე კვიცარიძე პასუხის გებაში იყვნენ მიცემულნი, რომელთაც სისხლ. სამართლ. 129 მუხლის ძალით ბრალი ედებოდათ. ეს საქმე გუშინ სამოსამართლო პალატის სესიამ გაარჩია ქუთაისში. ორივენი დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა ციხე: ნოე ჟორდანიას სამი წლით, ხოლო ისიდორე კვიცარიძეს წელიწად ნახევრით. ჟორდანია უკვე დააპატიმრეს.

## აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.

(შემდეგი.*)

**წერილი მეცამეტე.**

ონის ეკლესიაში მგოსანს ჯვრით მოეგება დეკანოზი მათე **გორდეზიანი** და სიტყვა უთხრა.

ეკლესიიდან მგოსანს გამოუძღვნენ ბაღში, სადაც აუარებელი საზოგადოება იყო შეკრებილი. აქ სიტყვა უთხრა მას ნ. გიორგობიანმა, თავ. კ. წულუკიძემ და სხვამ. შემდეგ ჩააბეს ფერხული და შემოსძახეს ეროვნული სიმღერები, რითაც მგოსანი შეიქციეს ნაშუადღევის ოთხ საათამდე; ოთხ საათზე კი მიიწვიეს მასპინძლის დავ. გოცირიძის სახლში, სადაც გაშლილი იყო სუფრა სტუმრებისათვის. თამადობა მიულოცეს თავ. კოწია წულუკიძეს, რომელმაც მოკლე სიტყვით ადღეგრძელა აკაკი, შემდეგ მხლებლები, პრესის წარმომადგენლები და იქ დამსწრე საზოგადოება, სხვა და სხვა სიმღერებით გაამხიარულეს სუფრა მალაქია ჯაფარიძის შვილებმა ოთხმა ძმამ, მათ შორის ორმა სტუდენტმა, რომლებიც ისე წააგვანან ერთმანეთს, რომ გამორჩევა შეუძლებელია.

რადგანაც ამავე დღეს, 27 ივლისს, იმართებოდა ონში სალიტერატურო საღამო, რომელსაც უნდა დასწრებოდა მგოსანი მხლებლებითურთ, სადილი ექვსს საათზე გათავდა და მგოსანმა ცოტახანს მოისვენა. ათ საათზე მიგვიწვიეს სალიტერატურო საღამოზე; საღამო შესდგებოდა სამი განყოფილებისაგან; პირველ განყოფილებაში წაიკითხეს და გააცნეს დამსწრე საზოგადოებას აკაკის ბიოგრაფია და იმისი პოეზიის მნიშვნელობა. მერე ორატორებმა უთხრეს სიტყვები, როგორც პროზად ისე ლექსადაც. მეორე განყოფილებაში იმღერეს „მრავალჟამიერ“ და მოსწავლე-ბავშვებმა წაიკითხეს აკაკის სხვა და სხვა ლექსები. მესამე განყოფილებაში კორიშელმა, ჩაგუნავა, და გელოვანმა მშვენივრად შეასრულეს სიმღერები „ორმოცი წლის ბებია“, „ომში წასვლა მას უხარის“, „გახსოვს ტურფავ ჩვენ დიდ ბაღში“, „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“ და სხვა.

ღამის თორმეტ საათზე დამთავრდა საღამო, რომელმაც საზოგადოდ ჩინებულად ჩაიარა, ხალხიც აუარებელი დაესწრო.

(შემდეგი იქნება).

**ლადო ბზვანელი.**

## მოწერილი ამბები

**ს. შემოქმედი** (ოზურგეთის მაზრა) 27 აგვისტოს სოფლის კანცელიარიაში მოხდა საზოგადო ყრილობა, ყრილობის მიზანი იყო პურის გამოწერა სასურსათო თანხით.

ყრილობას დაესწრო მაზრის უფროსის თანაშემწე ბ. ჩიქოვანი, მომრიგებელი შუამავალი ბ-ნი გეგიძე და ბოქაული კედია. ბ. ჩიქოვანი დიდხანს ებაასა ხალხს და უხსნიდა, თუ რა ძნელი გადასახადია ეს ვალი, მაგრამ ყრილობამ ერთხმად გადასწყვიტა: იქნას აღძრული შუამდგომლობა, რომ მათ მიეცეს პური და განაჩენიც დაადგინეს აქედან შ. ჩიქოვანი თავის მხლებლებით გაემგზავრა ბაკვში, სადაც ყრილობა უცდიდა. იმის შესამოწმებლად, თუ შემოქმედის საზოგადოება რამდენად საჭიროებს პურში, გზად შეუხვიეს შეძლებულ პირებისას. ერთისას ნახეს ექვსი ფუთი გაფშვნილი, წინა დღეებში ნაყიდი სიმინდი, მეორესას პურის გამხმარი ქერქი, ხოლო მესამესას ოციოდე ფუთი სიმინდი. თუ შეძლებული პირები ასეთ მდგომარეობაში არიან, რა მდგომარეობაში იქნებიან ღარიბები, რომლის რიცხვიც გაცილებით მეტია. ამავე დღეს დაადგინეს ტირილზე ხარჯების მოსპობა.

**იოსებ ჩხატარაიშვილი.**

## სხვა და სხვა ამბავი

რუსეთში გარდაიცვალა პირველ სათათბიროს წევრი, ცნობილი იურისტი პროფესორი გ. ფ. შერშენევიჩი.

—

მთავრობას აზრადა აქვს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს რკინის გზაზე მოსამსახურეთ და გააუმჯობესოს მათი ქონებრივი მდგომარეობა. საანკეტო კომისია აღნიშნავს, რომ ამ მოსამსახურეთა მდგომარეობა ძალიან ცუდია.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

5 ენკენისთვე.

### საზღვარ-გარედ

**იტალიის რწმუნებული.**

**რომი.** დილას ჩამოვიდა რწმუნებული ბერტოლინი, ესაუბრა ჯიოლიტის და საღამოს უკან გაემგზავრა.

**ჩინეთი.**

**პეკინი.** ლუჩინჩჟენი რუსეთში ელჩად დანიშნეს.

**კულჯა.** მთავრობას ეფიქრება მონღოლების თავდასხმისა და ჯარს ჩინეთის ალტაის საზღვარზე ჰგზავნის. ჯარი უკვე დუნგანშია.

**პეკინი.** პუნვენი თაიანფუში წავიდა.

**მუკდენი.** ქალაქში სამხედრო წესები შემოიღეს და ჯაოერსუნს დიდი უფლება მიანიჭეს. ჩინელების სიტყვით, მონღოლები ყველგან მარცხდებიან. ამბობენ, მთავრებს აზრადა აქვთ პეტერბურგში ელჩები გაჰგზავნონ და დახმარება ითხოვონო.

**იტალია და ოსმალეთი.**

**რომი.** „პოპოლო რომანო“ სწერს: ბერტოლინის უცბად ჩამოსვლა და გაბრუნება ამართლებს იმ აზრს, რომ წინასწარ მოლაპარაკება შეიძლება ზავად გათავდესო.

„სტეფანის სააგენტო“ იუწყება, ტყუილია ის ამბავი, ვითომ იტალიას უცხოელ ფინანსისტებთან ლაპარაკი გაემართნოს ოსმალეთისათვის 600 მილიონის სესხების თაობაზეო.

ბერტოლინის, როგორც ამბობენ, მოლაპარაკება ჰქონია ჯიოლიტისთან, სამხედრო და საზღვაო მინისტრებთან.

მოლაპარაკება ზავის თაობაზე კარგად მიდის.

**ბულგართა ეკლესია.**

**ბუქარესტი.** სარწმუნოებათა მინისტრმა არიონმა თულჩა ინახულა და უბრძანა ბულგართა ეკლესიის გაღება. ლოცვა უნდა სწარმოებდეს ბულგარულადა და რუმინულადო. ბულგარებს ეკლესია თავიანთ საკუთრებად მიაჩნიათ და მოითხოვენ, მხოლოდ ბულგარულად სწარმოებდეს ღვთის მსახურებაო. თუ მოთხოვნილება არ აუსრულეს, ბულგარები კათოლიკობის მიღებას აპირებენ.

**კომისიის წევრი.**

**ცეტინიე.** სასაზღვრო კომისიის წევრი ალი-რიზა, პორტის ბრძანებით, სამხედრო აგენტთან ერთად ბერანში მიდის მდგომარეობის გასაცნობად.

**ოპოზიცია ჰუნგრეთში.**

**ბუდაპეშტი.** დეპუტატთა პალატის სესიის განახლებისთანავე ოპოზიციის დეპუტატებმაც ობსტრუქციას მიჰყვეს ხელი: ლუკაჩსა და თავმჯდომარეს ტისას უწყალოდ ლანძღავდნენ, ხმაურობდნენ, უსტვენდნენ, ლორთოტოს აყვირებდნენ, პიუპიტრების სახურავებს არტყამდნენ და სხვა. ზოგჯერ, კაცს ეგონებოდა, დეპუტატები ხელჩართულ ბრძოლაში არიანო, სხდომა რამდენჯერმე შესწყვიტეს. მეოთხედ რომ შესწყვიტეს სხდომა, მთავრობის მომხრეები დარბაზიდან წავიდნენ. დარბაზში შევიდა პოლიციის ინსპექტორი პავლიკი ასის პოლიციელითა. ოპოზიციის წევრები, გრაფ ანდრაშის მოთავეობით, შუა დარბაზში შეგროვილიყვნენ. პავლიკი თითქმის ერთის საათის განმავლობაში სცდილობდა დეპუტატების განდევნას, მაგრამ ამაოდ. დეპუტატები პოლიციელებს მიაწვნენ. დახიეს პრეზიდენტის მიერ დაწერილი სია განსადევნ დეპუტატებისა. არეულობა საღამოს ექვს საათზედაც ისეთივე იყო, როგორც დილას. დეპუტატები ამბობენ, მხოლოდ ძალას თუ დავემორჩილებითო.

ოპოზიცია მონაწილეობას როდი მიიღებს დელეგაციაში. მთავრობის პარტიამ წინადადება რომ მისცა კანდიდატების დანიშვნისა, უარი მიიღო.

**გენერალური შტატები.**

**ჰააგა.** გენერალურის შტატების გახსნაზე დედოფალმა სეფე-სიტყვა წაიკითხა და აღნიშნა მეგობრული განწყობილება ნიდერლანდებისა სხვა სახელმწიფოებთან.

როდესაც დედოფალი პალატიდან ბრუნდებოდა, სოციალისტები, რომელთათვისაც აეკრძალათ ქალაქში პროცესიის გამართვა, შეიკრიბნენ 20 ათას კაცამდე და პარლამენტის კარებში ჩადგომას აპირებდნენ. პოლიციამ ხმალი იშიშვლა და ძლივძლიობით გასწმინდა პარლამენტის წინ მდებარე მოედანი.

### რ უ ს ე თ ი

**გაზეთის დაჭერა.**

**პეტერბურგი.** „სიბირსკიე ვოპროსის“ ოცდამეერთე ნომერი დაიჭირეს. ამ ნომერში მოთავსებული ყოფილა მთავრობის საწინააღმდეგო წერილი: „ციმბირის ცხოვრება—გაკვრით“.

**სამი ბავშვის დაწვა.**

**ვოლოგდა.** ვოლოგდის მაზრაში, შილოვოში ცეცხლში დამწვარა სამი ბავშვი.

**რედაქტორის დაპატიმრება.**

**ოდესა.** „ოდესკია ნოვოსტის“ რედაქტორი დააპატიმრეს და წელიწად ნახევარს ციხეში უნდა ჩასვან იმ საუბრის დაბეჭდვის გამო, რომელიც გაზეთის თანამშრომელს ჰქონია სათათბიროს წევრ გულკინთან და სადაც მთავრობას არსებულ წესწყობილების დანგრევისადმი მოწოდება დაუნახავს.

## უცხოეთი

**ხმელთაშუა ზღვა და სამთა შეთანხმება.**

რუსეთსა და საფრანგეთს შორის ამ ზაფხულს მომხდარმა საზღვაო შეთანხმებამ სრულიად შესცვალა სამთა შეთანხმების სახელმწიფოთა ფლოტის განაწილება სხვა და სხვა ზღვაში და ახალი დისპოზიცია დაუყენა წინ თავის მოპირდაპირეს—სამთა კავშირს.

აქამდე საფრანგეთის ფლოტი სამ ნაწილად იყოფოდა: თითოეული ესკადრა შეიცავდა 6 ჯავშნოსანს, 6 ჯავშნიან კრეისერს, ნაღმოსნებს, წყალქვეშ მავალ ნავებს და სხვ. პირველსა და მეორე ესკადრას სადგურად ჰქონდა ტულონი, მესამეს კი ბრესტი. ახლა საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა მდგომარე წლის ოქტომბრიდან ჩრდილო ზღვის მთელი ფლოტი ხმელთაშუა ზღვაში გადაიყვანოს. ამგვარად ხმელთაშუა ზღვაში იქნება თავმოყრილი საფრანგეთის სამივე ესკადრა, რომელიც ამდენ ხანს ლამანშსა და ბრესტს ახლო დასცურავდა. საფრანგეთისა, გერმანიისა და ავსტრიის პრესის საერთო აზრით ამგვარ დისპოზიციის დამოკიდებულება აქვს როგორც საფრანგეთ-რუსეთის საზღვაო კავშირთან, აგრეთვე იმ გარემოებასთანაც, რომ ინგლისმა თვალსაჩინოდ შეამცირა თვისი ფლოტის ძლიერება ხმელთაშუა ზღვაში. როგორც ეტყობა, ინგლისის ფლოტს, რომელიც ჩრდილო ზღვასა და ლამანშშია შეჯგუფული, უკისრნია გერმანიის ფლოტის გამკლავება, ხოლო საფრანგეთისა კი ხმელთაშუა ზღვაში დაიცავს ინგლისის საზღვაო ინტერესებს. უკვე ამ ზაფხულს მომხდარი ალუმებიდან გამოირკვა, რომ საფრანგეთის ჩრდილოეთის ფლოტი საკმაოდ არაა გერმანიის საზღვაო ძლიერების წინააღმდეგ. პრესამ მაშინვე მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და აღნიშნა, რომ საფრანგეთის ჩრდილო სანაპიროებზე [illegible] ზე მიგდებული [illegible] ტის ესკადრა უნდა [illegible] ხმელთაშუა ზღვის ფლოტის [illegible]ლით, ან სრულიად უნდა გამოვიყვანოთ იგი იქიდან და ჩრდილოეთის საზღვრების დაცვა ინგლისს მივანდოთო. საფრანგეთის მთავრობამ უკანასკნელი ღონისძიება აირჩია.

დღეიდან ინგლისისა, საფრანგეთისა, ავსტრიისა და იტალიის ხმელთაშუა ზღვის სამხედრო ძალა დაახლოებით ამგვარად იქნება განაწილებული: საფრანგეთს ეყოლება 19 ჯავშნოსანი და აგრეთვე ჯავშნიანი კრეისერები, რომელთა საერთო რიცხვი, თუ ძველ გემებს გამოვაკლებთ, იქნება 26. ასე რომ საფრანგეთის საზღვაო ძლიერება გაცილებით გადააჭარბებს ავსტრიისა და იტალიისას ერთად, მაგრამ როგორი იქნება მდგომარეობა 1916 წელს? ოთხი წლის შემდეგ საფრანგეთს ეყოლება 10 „დრედნოუტი“ და 7 „ზე-დრედნოუტი“, იტალიასა და ავსტრიას ერთად კი—10 „დრედნოუტი“ და ორიც „ზე-დრედნოუტი“. მაშასადამე 1916 წელსაც საფრანგეთი უფრო ძლიერი იქნება ზღვაზე, ვიდრე ავსტრია და იტალია ერთად აღებული. საფრანგეთისფლოტს ხმელთა შუა ზღვაზე ორგვარი მოვალეობა დაეკისრება: სპორტები, მეორეც კიდევ უზრუნველ-ჰყოს ინგლისის ინტერესები ეგვიპტესა და კუნძულ მალტაზე. სამაგიეროდ ინგლისი ჰკისრულობს საფრანგეთის ჩრდილო ნაპირების დაცვას ამ უკანასკნელ ქვეყნის წყალქვეშ მავალი გემების დახმარებით. მოსალოდნელი ომის დროს ინგლისის „დრედნოუტები“ გერმანიის წინააღმდეგ იმოქმედებენ, ხოლო საფრანგეთისა კი—იტალიისა და ავსტრიის წინააღმდეგ. თუ მივიღებთ მხედველობაში რუსეთის ფლოტის აღორძინებას, მაშინ ბალტიის ზღვის ესკადრა გერმანიის ფლოტის ნაწილს მაინც მოაცდენს და, მაშასადამე ინგლისსაც გაუადვილდება გერმანიასთან ბრძოლა. ლამანშის სრუტე დაცული იქნება ინგლისისა და საფრანგეთის წყალქვეშ მავალ—ნაღმოსნებით, ხოლო ინგლისის ფლოტის უმეტესი ნაწილი შოტლანდიისა და ნორვეგიის გასავალში გზას შეუკრავს გერმანიის გემებს. ამნაირად ინგლისის ფლოტს საქმე ექნება გერმანიის ზღვაში მომწყვდეულ მტერთან, საფრანგეთი კი თავისუფლად იმოქმედებს გერმანიის მოკავშირეთა წინააღმდეგ ხმელთაშუა ზღვაში.

## იაკობ გოგებაშვილის ფონდი

ბატონო რედაქტორო!

ჩვენი სასახელო იაკობ გოგებაშვილის ფონდის გასაძლიერებლად გიგზავნით მოსკოვის უნივერს. ქართველ სტუდენტთა შორის შეგროვილ ფულს და მასთან გაახლებთ შემომწირველთა სიასაც:

მ. ზ. კლიმიაშვილმა 1 მ. ათ-ათი შაური: ტრ. ხუნდაძემ, ს. დემეტრაშვილმა, პ. ბარათაშვილმა, დ. კახნიაშვილმა, ვ. ხუსკივაძემ, ს. აბესაძემ, ალ. ლორთქიფანიძემ, ვ. რამიშვილმა, ს. წუწუნავამ, ე. ბოკერიამ,

---

ხარკოვის განაპირა ნაწილში, ეგრედ წოდებულ მასკალიოვკაზე; სკოლა მშვენიერ შენობაშია მოთავსებული; აქვს მშვენიერი წიგნთ-საცავ-სამკითხველო, აგრეთვე მრავალი სურათები ფიზიოლოგიიდან და ანატომიიდან, ფიზიკური ხელსაწყოები და სხვა. სკოლა სამ განყოფილებისაგან შესდგება და კარპოვის სახელობისაა.

მეორე სკოლა ცნობილ მწერლის ვსევოლოდ გარშინის სახელობაზეა აშენებული, რომლის დაარსება განუზრახავსთ მისი ნიჭის პატივისმცემლებს. ამ მიზნისათვის მხატვარ იაროშენკოს საზოგადოებისათვის 5,000 მანეთი გადაუცია. ამ ფულით და სხვა თანხით საზოგადოებას 14 ქრისტიშობისთვეს 1900 წელს ნოვო-ბვლოვკაში (ხარკოვის მახლობლად) დაუარსებია გარშინის სახელობის სკოლა, რომელშიაც სწავლება მშვენიერ დონეზე ყოფილა დაყენებული; მოსწავლენი, გარდა საერთო განათლებისა, იძენენ მეურნეობისათვის საჭირო ცნობებს.

ამ სკოლაზე წინედ ხარკოველ ვაჭართა თხოვნით საზოგადოებას დაუარსებია სკოლა ამ ვაჭრების ხარჯით, სადაც პირველად მხოლოდ ებრაელები სწავლობდნენ, ეხლა კი ნახევარი ნაწილი მოსწავლეთა რუსობაა, ნახევარი კი ებრაელები.

ყოველ სკოლასთან არსებობს კომიტეტი, რომელიც ვალდებულია იზრუნოს სკოლის როგორც ნივთიერ უზრუნველყოფაზე, ისე სწავლების კეთილად მიმდინარეობის შესახებ. სამ ხსენებულ და ქალთა პირველ დაწყებითი სკოლაში 1910 წ. ორივე სქესის 546 მოსწავლე ყოფილა. სწავლა დაუმთავრებია 101; სხვა და სხვა მიზეზების გამო სწავლისათვის თავი დაუნებებია 105. ამ ოთხი სკოლის შენახვა საზოგადოებას 1910 წლის განმავლობაში 11663 მანეთი და 35 კაპ. დაჯდომია.

საზოგადოების პირველ სხდომებიდანვე სჩანს, რომ არა ერთხელ აღძრულა საკითხი, განსაკუთრებითი ყურადღება მიექციათ ქალთა განათლებისათვის, რადგან დაბალ ხალხში ქალებს ძვირად აძლევენ განათლებასაო. ამ მხრივ თვისი სურვილი საზოგადოებას 1877 წელს განუხორციელებია. დაუარსებიათ ქალთა სახელოსნო სასწავლებელი, რომლისათვისაც მრავალი მეცადინეობის შემდეგ ისეთი ძვირფასი შენობა აუგიათ, რომ 4.000 მანეთი ღირს. ამ სასწავლებელმა პირველად გაუღო თვისი კარები ხარკოვის მცხოვრებლების ნივთიერად ხელმოკლე ნაწილის ქალიშვილებს და გარდა საერთო განათლებისა, სასწავლებლის გამგენი დიდ ყურადღებას აქცევენ პროფესიონალურ განვითარებას: ასწავლიან ჭრა-კერვას, საქმელების შემზადებას და საერთოდ მეოჯახეობას. ამ მხრივ სწორედ დაუფასებელია ამ სასწავლებლის ღვაწლი. 1910 წელს სასწავლებელში 138 მოსწავლე ქალი ყოფილა, რომელთაგანაც 24 დაუმთავრებია კურსი. ამ წელს მოსწავლეების ხელსაქმით 4075 მ. და 12 კ. აუღია სასწავლებელს. საცვლების განყოფილებაში 1043 ნივთი შეუმზადებიათ, ხოლო ტანისამოსისაში—1397. სულ სასწავლებელს 1910 წელს შემოსავალი ჰქონია 13298 მანეთი და 2 კაპ., ხარჯი 12901 მან. და 56 კაპ.

1 ქრისტიშობისთვეს 1898 წელს საზოგადოებას პოლკოვნიკ ბოროდაევის სახელზე დაუარსებია მისგან ნაანდერძევ ქონებით სამხატვრო-სახელოსნო სკოლა, რომელშიაც სწავლა ისე საუცხოოდ არის დაყენებული, რომ მნახველი გაოცებაში მოდის. საუცხოოდ აქვსთ შემუშავებული მოსწავლეთ სხვა და სხვა ნივთები; გარდა თეორიული განვითარებისა სასწავლებელი უმთავრეს ყურადღებას პრაქტიკულ განვითარებას აქცევს. მოსწავლენი კარგად ასრულებენ კედლებისა, ჭერისა და იატაკის სხვა და სხვა საღებავით დასურათებას; ამ მხრივ მათ 1904 წელს 1445 მანეთის უმუშავნიათ, 1901 წელს—1894 მანეთი და 1902 წელს—1337 მანეთის. 1902 წელს სასწავლებელს მონაწილეობა მიუღია სამხატვრო აკადემიის მიერ გამართულ მოსწავლეთა ხატვისა და ხაზვის ნაწარმოებთა მეოცე კონკურსში; ამ სასწავლებლის ნაწარმოებნი აკადემიას საუცხოოდ უცვნია. 1903 წელსაც მიუღია მონაწილეობა ამ სასწავლებელს პეტერბურგის გამოფენაში და აქაც დიდი ქებით მოუხსენებიათ. 1909 წელს თვით გაუმართავს სასწავლებელს გამოფენა, რომლის გამო გამგეს უმაღლესად ებოძა ოქროს მენდალი. 1910 წელს სასწავლებელს მონაწილეობა მიუღია ეკატერინოსლავის გამოფენაში და ვერცხლის მენდლით დაუჯილდოვებიათ.

საერთოდ სწავლა ისე მშვენივრად არის დაყენებული საზოგადოების სკოლებში, რომ სამაგალითოდ არის ხარკოვის გუბერნიის ყველა სახალხო სასწავლებლისათვის, ვინ იცის, საიდან არ მოდიან მასწავლებელნი, რომ ამ საზოგადოების სკოლაში დაესწრონ გაკვეთილის მიცემაზე.

ამ მოკლე ხანში ხარკოვის წერა-კითხვის საზოგადოების სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებელი გამოფენას გამართავს, სადაც მოთავსებული იქნება მოსწავლეთა სხვა და სხვა ნამუშევარნი.

**კომიტეტები და კომისიები საზოგადოებისა *)**

1901 წელს გამგეობის თავმჯდომარეს პროფ. დანილევსკის აღუძრავს საკითხი პედაგოგების კრებების ცალკე ორგანიზაციის შექმნისა; ეს ორგანიზაცია ცალკე კომიტეტში უნდა განხორციელებულიყო და ვალად უნდა ედვა სხვა და სხვა პედაგოგიურ კითხვების შემუშავება. კრებას დანილევსკის აზრი მოუწონებია და კიდეც შეუმუშავებიათ **სასკოლო-პედაგოგიური კომიტეტის ინსტრუქცია.**

1910 წელს ეს კომიტეტი იმუშავებდა პროგრამას პირველ დაწყებითი სასწავლებლისას საგუბერნიო ერობის გამგეობის წინადადებით. ეს პროგრამა მან უკვე წარუდგინა ერობას. იმავე ერობის წინადადებით სასკოლო პედაგოგიურმა კომიტეტმა შეიმუშავა პროგრამა სახალხო მასწავლებელთა საზაფხულო კურსებისა, რომელნიც გამართულ იქმნენ ხარკოვის წერა-კითხვის საზოგადოების სახალხო სახლში. კომიტეტის სხდომებზე, როგორც ოქმებიდან სჩანს წაუკითხავთ მრავალი მოხსენება: მაგალითად: „ტოლსტოი, როგორც მასწავლებელი“ და სხვა. კომიტეტი აგრეთვე დიდ ყურადღებას აქცევს სკოლის გარეშე განვითარებას და ამ მიზნით იმუშავებს სხვა და სხვა პროგრამას. კომიტეტს შუამდგომლობა აღუძრავს ქალაქის გამგეობის წინაშე, დაარსებულ იქმნეს განსაკუთრებითი სკოლა იმ ბავშვთათვის, რომელნიც ძნელად ითვისებენ ცოდნას. საზოგადოდ ამ კომიტეტის მოღვაწეობა მეტად ნაყოფიერია, საუბედუროდ 1911 წლის ანგარიში საზოგადოებას ჯერ კიდევ არ დაუბეჭდია, თორემ უფრო მეტი მაგალითების მოტანა შეიძლებოდა. საერთოდ კომისია თავის მოღვაწეობაში ეხება ყველა იმ საკითხს, რომელსაც რაიმე დამოკიდებულება აქვს სკოლის ცხოვრებასთან.

1899 წელს გამგეობის წევრს ბელოკონსკის საერთო კრებისათვის მოხსენება წარუდგენია **სამასწავლებლო—ცნობების მიმცემ კომიტეტის** დაარსების შესახებ. კრებას ეს მოხსენება საფუძვლიანად უცვნია და განსაკუთრებითი კომისია აურჩევია კომიტეტის ინსტრუქციის შესამუშავებლად. კომიტეტის უმთავრეს მიზანს სასკოლო-მოძრავ მუზეუმის შექმნა შეადგენდა, რაც მან დიდიხანია მოიყვანა სისრულეში. 1910 წლის განმავლობაში კომიტეტის მოქმედება ძალზე გაფართოვებულა, თითქმის რუსეთის ყველა კუთხიდან მოსულია შეკითხვები სხვა და სხვა საკითხების შესახებ. კომიტეტის კასაში ამ წელს შესულა 1287 მან. და 56 კაპ., დახარჯულა 547 მ. და 67 კაპ. 1910 წელს სასკოლო-მოძრავ მუზეუმის საქმეც წინ წასულა. ამ წელს სულ 7418 სახელმძღვანელო მიუციათ 43 დაწესებულებისათვის.

(დასასრული იქნება)

**ალ. წერეთელ.**

*) ფრიად საყურადღებოა საზოგადოების მიერ მოქმედი ის დანაწილება: თვითეულ კომიტეტს თავისი საკუთარი საქმე აქვს და ეს დანაწილება დიდად უწყობს ხელს საერთო მიზნის განხორციელებას—ხალხში წერა-კითხვისა და განათლების შეტანას.

ვ. ემუხვარმა, ა. კანდელაკმა, ჯ. არ-ჯევანიძემ, გ. გაგუამ, ა. სვანიძემ. ორ-ორი აბაზი: ნიკოლაევმა, ვ. კანდელაკმა. შვიდი შაური: გ. ვეშაპიძემ. ან. ამირაგოვის ასულმა 30 კ. ხუთ-ხუთი შაური: ნ. ნიჟარაძის ასულმა, კ. ყიფშიძის ასულმა, წვერავამ, გ. კუჭაიძემ და ვრ. ლორთქიფანიძემ.

ამხანაგების მონდობილობით
**პეტრე ბარათაშვილი.**

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ეს ფული გადასცეთ ქ. შ. წ.-კ. გ. ს. გამგეობას განსვენებულ ი. გოგებაშვილის ფონდის გასაძლიერებლად.

შემომწირველთა სია: თითო-თითო მანეთი: ტრიფონ ჯაფარიძემ, გიორგი იოსელიანმა, იოსებ ძნელაძემ, ივანე ტატიშვილმა, ვლადიმერ ჩიქოვანმა, იოსებ ყაჭეიშვილმა, მღვდელ პეტრე კაპანაძემ, კ. ძნელაძემ, დავით ჯუღელმა. ათ-ათი შაური: იაკინთე კიკნაძემ, გიორგი კანდელაკმა, გიორგი ძნელაძემ, შაქრო ხიდირბეგიშვილმა, გერონტი ჩიკვაიძემ. სულ 11 მ. 50 კ.

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

# შემოწირულება

**საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას შემოსწირეს:**

**1. თავადმა დიმიტრი ლევანის ძემ აბაშიძემ:**

ა) მხედრული ხელნაწერი „კონდაკი";

ბ) მხედრული ხელნაწერი წიგნი „გული ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა";

გ) ოცდა ცამეტი სიგელ-გუჯარი და სხვა საგვარეულო დოკუმენტი, მე-18 და მე-19 საუკუნისა;

დ) პატარა, მეტად ლამაზი, ქვის ჩაქუჩი, სოფ. ზემო ქალაში ქის ამოთხრის დროს ნაპოვნი, თვით დიმიტრი აბაშიძის ეზოში;

ე) ორი ძველი ვერცხლის ფული, ირაკლი მეფისა, სპარსული წარწერით.

**2. მასწავლებელმა სერგო გიორგის ძემ ლამბაშიძემ:**

ა) ვახტანგ მე-VI-ის „სამართალი", რომან ყიფიანის ოჯახიდან (სვიმონ ყიფიანის ნაწერი), ხელნაწერი;

ბ) ძველებური, წელზე საკიდი ბუდე საწერ-კალმისა;

გ) სპილენძის თოხის ნატეხები (ყუა და პირი), აგრეთვე მძიმე ნატეხი სპილენძისა, სოფ. ჩარდილში მიწაში ნაპოვნი (შორაპნის მაზრა).

დ) ოთხი მუსულმანური ძველი ვერცხლის ფული და ორი რუსული სპილენძის ფული ეკატერინე მე-II ისა და ალექსანდრე I-ელის დროისა.

**3. დიმიტრი ზურაბის ძემ მაჭავარიანმა:**

ა) ხელნაწერი „ცხოვრება ანდრია სალოსისა".

ბ) ხელნაწერი წმ. მამათა მოძღვრებანი.

გ) მხედრ. ხელნაწერი „თვენი" (თავი და ბოლო აკლია).

დ) ხუცური ხელნაწერი იოანე ოქროპირის ქადაგებანი (აკლია).

ე) სულხან ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა" (ხელნაწერი).

ვ) ხელნაწერი „ალექსიანი".

ზ) ხელნაწერი „ადამ და ევას საკითხავი".

ჱ) ხელნაწერი „იოსებ—ზილიხანიანი".

თ) სამი ფურცელი ხუცური ხელნაწერი.

ი) ნაბეჭდი წიგნი: „ჭეშმარიტნი ისტორიულნი დამტკიცებანი ნამდვილმყოფობისა ქრისტესი ქვეყანასა ზედა", პეტერბ., 1819 წ.

**4. მღვდელმა ვასილ გორგაძემ:**

ა) ანდრია სალოსის ცხოვრება, მხედრ. ხელნაწერი;

ბ) ხუცური ხელნაწერი (კურთხევანი";

გ) ხელნაწერი „Физiологiя" ზაგორსკისა;

დ) ნაბეჭდი „საზოგადო მდივნობათ", პეტრ. 1821 წ.

**5. მღვდელმა ფარნაოზ ვეფხვაძემ:**

ა) ხუც. ხელნაწერი „ჟამნი";

ბ) ნაბეჭდი „დავითნი" 1768 წ.;

გ) ნაბეჭდი „გამოკრებილი სახარება";

დ) ჩუქურთმიანი ხის პატარა ჯვარი;

ვ) წმ. გიორგის პატარა ვერცხლის გულსაკიდი ხატი.

**6. ოლგა მიხეილის ასულმა აფუტინისამ:**

ა) ხის პატარა ჩუქურთმიანი, გულსაკიდი ხატი წმ. ნიკოლოზისა;

ბ) ძველებური წამლობანი და შელოცვები ცალკცალკე ფურცლებად ნაწერი, ძველებურის ბოხჩით.

**7) მარიამ ზაქარიას ასულმა კიკნაძისამ:**

ა) ხელნაწერი ვახტანგის სამართალი (აკლია);

ბ) ხელნაწერი „სიბრძნე სიცრუის" წიგნი (აკლია).

**8. მღვდელმა ალექსი ცხადაძემ:**

ა) ნაბეჭდი „სამოციქულო" 1709 წ.

**9. მღვდელმა ანტონ კვანტრიშვილმა:**

ა) ნაბეჭდი „კურთხევანი" 1764 წ.

ბ) ნაბეჭდი „კონდაკი" 1783 წ.

გ) პატარა ხის ჩუქურთმიანი ჯვარი.

დ) ძველებური დაბალ-ფეხიანი ბარძიმი, ეკლესიის ნანგრევში ნაპოვნი.

10. **მღვდელმა იასონ მხატვრიშვილმა:** ა) გუჯარი გოლათუბნის ეკლესიისადმი და იმავე გუჯრის პირი.

11. **იპოლიტე დიმიტრის ძემ ანთაძემ:** ა) ვარძიის მონასტრის ორი სიგელის პირი.

12. **ირაკლი ილიას ძემ ფერაძემ:** ა) ძველებური ყალიონი, სოფ. ნებოძირში ნაპოვნი მიწის გათხრის დროს.

13. **ივანე დიმიტრის ძემ ქლიბაძემ:** ა) დიდი კბილი რაღაც გადაშენებულის ცხოველისა, სოფ. დილიკაურში ნაპოვნი წყაროს თხრის დროს.

ზემო-აღნიშნული ნივთები „საზოგადოებას" გადმოსცა სერგ. რომ. გორგაძემ.

შემომწირველთ „საზოგადოების" საბჭო გულითადს მადლობასა სწირავს.

# ანგარიში

7 აგვისტოს 1912 წ. გამართულ წარმოდგენისა ადგილობრივ დრამატიულ წრის სასარგებლოდ.

შემოსავალი იყო სულ 294 მ. 81 კ. ხარჯი: მუსიკას 25 მ. მარკის 20 მ. 87 კ., ორშანოვს და კაზლოვსკის 144 მ. 94 კ., ჩვენ დაგვრჩა 104 მ. ჩვენი ხარჯი 23 მ. 90 კ., წმინდათ შემოსული დაგვრჩა 80 მ. 10 კ. რომელიც ჯერ-ჯერობით ინახება ამავე წრის მოლარესთან იასონ თურქიასთან.

P. S. დაწვრილებით ყოველივე ან გარიში შეგიძლიათ ინახულოთ თვით კასირთან. **გამგეობა.**

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**


# განცხადებანი

თმის
# სალბავი
**კაკლის ექსტრაქტისა.**

თმას სწრაფად და საფუძვლიანად ჰღებავს, სურვილისამებრ ნაზ-ქერა ფრად, თუ კუპტშავად. თავდებნი ვართ, რომ უვნებელია.

პარფ. № 4711. **თევდ. მიულგენსი,**
მის იმპ. უდ. სრულ. რუს. იმპ. სასახლის იჯარადარი **კოლნი** და რიგა.
დაარს. 1792 წ.



ფასი ფლაკონ. 1 მ. 20 კ. დიდი ფლაკ. 2 მან.
Метцль. 309266. 309286.
10—432—2)

# ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

„606"—11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტაციურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 სათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 1078.207)

გ. და მ. ტერ-დავიდიანცის
# საბუღალტრო კურსები

ტფილისში, ნიკოლოზის ქ., № 36; ვორონცოვის ძეგლთან. ყოველნაირ ცნობებისთვის კურსების კანცელარია ღიაა ყოველ დღე საღამოს 4—7 საათამდე. (25—1437—18)

# ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварны пер., 2, соб. д. (100—1231—34)

გამოსულია და იყიდება
# არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი:

I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო" ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „ 80 კ.
III „ „ნააზრევი" „ „ „ „ „ „ „ „ 65 კ.
IV „ წერილები „ცნობის ფურც."-„მოამბ." 1901—1902 წ. „ 85 კ.

# ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება შემდეგი სახელმძღვანელოები:**

ჩვენი მწერლობა, (მგოსნები), ს. გორგაძე . . . ფასი 50 კ.
გუთანი, ოჯახში და სკოლაში საკითხავი . . . . . . 85 „
მოძრავი ანბანი—კარდონზე 30 „
ანბანი კუბიკებზე . . 1 მ.—
წყარო, ა. ქუთათ. მოსამზადებ. კლ, II, . . . . . 50 „
წყარო, იმსივე, ანბანი და პირველ საკითხავი . . . 25 „
არითმეტიკული კრებული ხრამელაშვილისა I, ყდით . 40 „
იგივე ნაწილი II, ყდით . 50 „
მოკლე სახელმძღვანელო საზოგად. გეოგრაფ.—აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია 35 „
მოკლე სახელმძღვ. საზოგად. გეოგრაფიისა, ევროპა . . 35 „
მოკლე საუბარი, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირ.-დაწყებ. კარი გეოგრაფ. ალ. ჭიჭ. 20 „
ფიზიკური გეოგრაფია . . 20 „
ქართ. წმინდანები, სასულიერ. სასწავლებლებისთვის იოსელ. 50 „
ყუბანეიშვილი. პირ.-დაწყ. სწავლება სალვთო სჯულზე, ყდ. 30 „
ახალი აღთქ. სამღ. ისტ., მისივე 40 „
ძველ, აღთქმ. სამღ. ისტ. მისივე 50 „
**ქართ. წერ. რვეულ. წ. კ. გამოცემა** წყვილი . . . . 5 „
ათასამდე ყოველი ასის ფასი 2 მ. 40 „
ათასზე მეტი ყოველი ასი 2 მ. 30 კ.

**ადრესი:** Тифлисъ, О-во распр. Гр. ср. гр. насел. (წ. 1141.116)

ვაჭრობა-მრეწველობის უწყებაში მყოფი
# ბუხჰალტერიის პრაქტიკული კურსები და კომერციული ანგარიში
# ი. ფ. კალატნიკოვისა,

(ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 132).

1912—13 წლის სემესტრში ქალ-ვაჟთ შეგირდიანთ მიღების თხოვნა შემოიტანონ და ჩაეწერნენ ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე. მეცადინეობა 15 სექტემბერს დაიწყება.

კურსებზე ორივე სქესის მსმენელნი იძენენ საფუძვლიანსა და სრულიად დამთავრებულ მომზადებას, კანტორა ბუხჰალტერიისა და საალებ-მიცემო მიწერ-მოწერის დამოუკიდებლად საწარმოებლად.

კურსებზე შემსვლელნი საფუძვლიანად სწავლობენ: 1. **ბუხჰალტერიას** უბრალოს, ორმაგს, იტალიურს, გერმანულს, ამერიკულსა, ფრანგულსა და ახალ რუსულს (ყველა სისტემის შესასწავლად სავალდებულოა პრაქტიკული მუშაობა) 2) **ანგარიშების წარმოებას:** საზოგადოდ საალებ-მიცემოს, საბანკოს, საფაბრიკოს, საზოგადოს, სასოფლო-მეურნეობისას, ქალაქისას და ერობისას. 3) საკომერციო არითმეტიკას, 3. სავაჭრო უფლებას, 4) თამასუქების უფლებას, 5) საალებ-მიცემო მიწერ-მოწერას, 6) ანგარიშს საანგარიშო ჩოთქზე. 7) ლამაზსა და სწორ წერას (კალიგრაფიას), 8) საწერ მანქანის ხმარებას, 9) რუსულ ენას, 10) არითმეტიკას, 11) **უცხო ენებს:** ინგლისურს, ფრანგულსა და გერმანულს, 12) უცხო ენებზე საალებ-მიცემო მიწერ-მოწერას,

**რუსულსა და არითმეტიკის მსმენელთ უფასოდ ასწავლიან.**

მასწავლებლებად მოწვეულნი არიან უმაღლეს სწავლა მიღებული სპეციალისტები. კურსების წესდება და პროგრამა მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ. (25—1447—7)

**სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი**
# ნ. ვ. აბრაამიანის საბუღალტრო კურსები

(არსებობს 1895 წ.)

**ავტორი „ბუღჰალტერიის სახელმძღვანელოსი", რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწ. სამინისტროს მიერ.**

ორივე სქესისათვის **კურსი 4 თვისაა** ყოველ-დღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 15 სექტემბერს, 1912 წ. კურსებზე ასწავლიან ბუღჰალტერიისა და სხვა სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა დ სხვა დარგიდან, მაზუთისა და ნავთის მრეწველობაზე—ყოველ ნაირ წესით. დახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში, კომერც. არითმეტიკა, კომერც. მიწერ-მოწერა, სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება, პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, ლამაზი წერვა, ხელის გასწორება, მსურველთათვის **უცხო ენები,** სტენოგრაფია დ რემინგტონ. **მასწავლებელნი**—სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ (ცალკე საგანში მომზადებულნი. **ატესტატები** სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ. თხოვნები მიიღება ყოველ დღე 9—11 საათამდე და 5—7 საათამდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს: ნიკოლოზის ქ., 22, საკუთ. სახლი. **ტელეფ. № 744.** (თ. 1450 6)

მიიღეთ მარიამობისთვის
შვედური და დელიკატესნი კილკები.

თევზის მრეწველნი
# ძმ. ძებველოვები.

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**
**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.**

ბოჭკის საუკეთესო
# ხიზილალა,

**გირვანქა 1 მ. 60 კ.**

აგრეთვე მოგვდის ცოცხალი **ლოქო** და კობრი, |საზანი.|

(წ.1131.247)

# ს ნ ე უ ლ ნ ო
**უფრთხილდით სიყალბეს!**

რადგანაც „**სპერმინის**" იაფ-ფასიან მიბაძულებას ავრცელებენ, რომელსაც მასთან საერთო არა აქვს რა, და ხშირად იყოს ეს ჯანისათვის მავნებელი ნივთიერება.

**ნერვების სისუსტისა, სქესობრივ უილაჯობისა, მოხუცებულების დაჩაჩანაკებისა, სევდის ქარისა, ნერვალოგიისა, სისხლ-ნაკლულობისა, ჭლექისა, ათაშანგისა, ვარდის წყლით წამლობის შედეგისა, გულის სნეულებისა (გულის ქონი, გულის ფრიალი, გულის სისუსტე** და სხვა), **ძარღვების დადუნებისა, ალკოჰოლიზმი, ხერხემლის გახმობისა, სიდამბლისა, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტისა, გონებრივ დაქანცულობისა დ სხვა სნეულების დროს,** მხოლოდ „**სპერმინ-პელა**" აღწევს იმ ბრწყინვალე შედეგამდე, რასაც ლაღადებენ მთელი ქვეყნის მეცნიერნი და მკურნალნი.

**ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას:**

# სპერმინ-პელა

და არ მისდიოთ მალამოებსა დ სხვა და სხვა სახელწოდების სითხეს, რომელთა ულირსობის შესახებ გამოცემულია საგანგებო ბროშურა, რომელიც უფასოდ ეგზავნება ყველას, **სპერმინის** თაობაზე დაბეჭდილ ახალ წერილებთან ერთად.




ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКIЙ ИНСТИТУТЪ
ПРОФЕССОРЪ Д-РЪ ПЕЛЬ и С-ья
ПОСТАВЩИКИ ДВОРА ЕГО ИМПЕРАТОРСК. ВЕЛИЧЕСТВА
С.ПЕТЕРБУРГЪ
В.О. 7 линія 18.

Метцль. № 108975. (8.1461.1)

ინჟენერი
# ი. ს. კონდოევი,

ტფილისი. ელისაბედის ქ., 164. ბაქოს ქ. კუთხე.

**ცემენტი**
ასფალტი, გუდრონი, ცეცხლის მძლე აგური და თიხა, ლურსმეულობა, „заклейки", გულცარიელი აგური და კრამიტი და სხ., საშ. მასალა.

**რკინის კოჭები, საქვაბე რკინები, საკუთხე რკინები, სახურავების რკინები.**
(**შავი და ცინკნარევი**).

ტელეფონი: კანტორისა № 10—93 აგურხანისა № 11—96.

საშენებელი აგურები საკუთარ აგურხანიდან ვაკეზე. (25.1474.3)

**შპალიერი**

# ე. ა. ცატუროვის დეპოში

მიღებულია დიდძალი ნაირ-ნაირი შპალიერი, ახალ სახიანი

**რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებისა.**

**ფასები** 8 კ—დან თოფი (სრულ ზომიანი) აუარებელ ხარისხისა.

ნიმუშებს ვგზავნით პირველ მოთხოვნილებისათანავე.

**ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.**

(40—1400—17)

ხელოვნურად შეზავებული
# სამკურნალო და ხილეულოვის წყალი
# მიტროფანე ლაღიძე და ამხ^სა.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

**გემო და სუნი საამური აქვს.**

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში, გოლოვინის პროსპ. № 5 ტელეფონი № 411, ქუთაისში—პუშკინის ქუჩ ა № 6.** (25.1407.10)

# 1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
**დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ**
# „ნაკადულ"-ზე
**წელიწადი მერვე.**

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

24 **წიგნი** „ნაკადულისა" მცირე წლოვანთათვის; 12 **წიგნი** „ნაკადულისა" მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს **დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскiй просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, ფ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის" აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილიასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოქაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან. **ყარსში**—ფერშალ ვანო საათაშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
(წ.—1393—103 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**


ტფილისი, მუხრანის ქუჩა № 12, სტამბა „შრომა"